

ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

	2016	2017	2018	2019	2020*	
მშპ მიმდინარე ფასებში (მლრდ ლარი)	35.8	40.8	44.6	49.3	49.4	
მშპ მუდმივ 2015 წლის ფასებში (მლრდ ლარი)	34.9	36.6	38.4	40.3	37.8	
მშპ-ის რეალური ზრდა (%)	2.9	4.8	4.8	5.0	-6.2	
მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მიმდინარე ფასებში (აშშ დოლარი)	4 062.1	4 358.5	4 722.0	4 696.2	4 274.6	
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პერიოდის ბოლოს (%)	1.8	6.7	1.5	7.0	2.4	
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, საშუალო პერიოდის განმავლობაში (%)	2.1	6.0	2.6	4.9	5.2	
უმუშევრობის დონე (%)	21.7	21.6	19.2	17.6	18.5	
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 652.6	1 978.3	1 306.3	1 310.8	616.9	
საგარეო სავაჭრო ბრუნვა (მლნ აშშ დოლარი)	სულ	9 459.0	10 802.4	12 741.3	13 315.4	11 371.9
	ექსპორტი	2 117.1	2 745.7	3 379.7	3 798.4	3 342.1
	იმპორტი	7 341.9	8 056.6	9 361.6	9 516.9	8 029.8

* წინასწარი მონაცემები

ეკონომიკური ზრდა - მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა მიმდინარე ფასებში 2020 წლის წინასწარი მონაცემებით შეადგინა 49.4 მილიარდი ლარი. მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური კლება წინა წელთან შედარებით -6.2 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე მიმდინარე ფასებში გამოსახულმა მთლიანმა შიდა პროდუქტმა შეადგინა 4274.6 აშშ დოლარი. მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა ვაჭრობა (15%), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა (12%) და დამამუშავებელი მრეწველობა (11%).

დასაქმება და უმუშევრობა - უმუშევრობის დონე 2020 წლისათვის განისაზღვრა 18.5%-ით. ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ (სამუშაო ძალამ) შეადგინა 1 523.7 ათასი კაცი, საიდანაც დასაქმებულებს შეადგენს 1 241.8 ათასი კაცი, ხოლო უმუშევრებს - 281.9 ათასი კაცი. საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 1 227.3 ლარია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელმა 2020 წლის წინასწარი მონაცემებით შეადგინა 616.9 მილიონი აშშ დოლარი. ეკონომიკის სექტორებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა საფინანსო სექტორი (65%) და სამთომომპოვებითი მრეწველობა (17%). უმსხვილეს ინვესტორ ქვეყნებს წარმოადგენს: გაერთიანებული სამეფო (307.8 მლნ აშშ დოლარი), ნიდერლანდი (172.1 მლნ აშშ დოლარი) და თურქეთი (108.1 მლნ აშშ დოლარი).

საგარეო სავაჭრო ბრუნვა - საგარეო სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებელმა 2020 წლის წინასწარი მონაცემებით შეადგინა 11 371.9 მილიონი აშშ დოლარი, საიდანაც საქონლის ექსპორტზე მოდის 3 342.1 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო იმპორტზე - 8 029.8 მილიონი აშშ დოლარი. შესაბამისად, ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი შეადგენს 42%-ს. ქვეყნების მიხედვით, სავაჭრო ბრუნვაში ევროკავშირის ქვეყნებს უკავია ექსპორტის 21% და იმპორტის 23%, დსთ-ს ქვეყნებს - ექსპორტის 45% და იმპორტის 30%. 2020 წლის მონაცემების მიხედვით, ექსპორტის უდიდესი წილი მოდიოდა შემდეგ ქვეყნებზე: ჩინეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი. ხოლო იმპორტის უდიდესი ხვედრითი წილით გამოირჩეოდა: თურქეთი, რუსეთი, ჩინეთი.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.